სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის თასზე

„დინამო“ (თბილისი) – „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 1:0 (1:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 7 მაისი.

„დინამო“: ხაპოვი, გელაძე, ცვეიბა, მაჭავარიანი, არზიანი, ჯამარაული, არველაძე, ლ. ყიფიანი, (თ. ყიფიანი, 62), კერძევაძე, ყაველაშვილი, ხურცილავა.

„ჟალგირისი“: ბრაუნისი, ჟუკასი, ჟეკასი, კავალიაუსკასი (ვასილიაუსკასი, 16), შულჩუსი, კაპუსტასი, რინკუსი, ტერეშკინი, შუგჟდა, ზდაჩუსი, სავიცკასი (მიკა, 59).

მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).

გააფრთხილეს ჟუკასი, კაპუსტასი, შუგჟდა, მაჭავარიანი.

ორივე გუნდის ხელმძღვანელობამ ამ შეხვედრაში თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდა ფეხბურთელებს მისცა. სწორედ მსგავს ასპარეზობებზე უნდა აიმაღლონ სათამაშო კლასი ტყავის ბურთის მომავალმა ოსტატებმა. საფეხბურთო კავშირის თასი ის გათამაშებაა, სადაც ახალგაზრდა ფეხბურთელებს სრულად ეძლევათ თავის გამოჩენის საშუალება. ანალოგიურ პირველობებზე ხომ ყველა უმაღლესი ლიგის გუნდი თითქმის სათადარიგო მოთამაშეებით ასპარეზობს.

7 მაისს ქართველ გულშემატკივრებს იმედი არ გაუცრუვდათ. დინამოელებს ცდა არ დაუკლიათ, რომ ლამაზი, შემტევი ფეხბურთი ეჩვენებინათ.

ვილნიუსელთაგან გამართული შეხვედრის პირველი ნახევარი თბილისელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ჩვენი კარის დარაჯს მხოლოდ ოთხჯერ მოუწია ბურთის თავისუფალი დარტყმით თამაშში შეყვანა. სხვა სახიფათო მომენტი პირველ ნახევარში სტუმრებს ჩვენ კართან არ შეუქმნიათ. ამავე პერიოდში მასპინძლებს შეეძლოთ სოლიდურად დაწინაურებულიყვნენ ანგარიშში, მაგრამ გადამწყვეტ დარტყმებს სიზუსტე აკლდა. დინამოელები გულის გატანას ინდივიდუალური გარღვევებით ცდილობდნენ, რასაც სასურველი შედეგები არ მოჰყოლია. მხოლოდ ნახევარმცველი არველაძე იღებდა სწორ გადაწყვეტილებებს, როცა შორი მანძილიდან რამდენჯერმე სცადა მეტოქის კარის აღება. მიუხედავად ამისა, თბილისელებს მინიმუმ 4-ჯერ მაინც შეეძლოთ დაწინაურება, - და თუ ეს მათ ვერ მოახერხეს, პირველ ყოვლისა ვილნიუსელთა კარის დარაჯის ბრაუნისის დამსახურებაა. მან უშეცდომოდ ჩაატარა მთელი მატჩი.

სანახაობრივად უფრო საინტერესო გამოდგა შეხვედრის მეორე ნახევარი. თბილისელთა იერიშებს სტუმრები კონტრშეტევებით პასუხობდნენ. 70-ე წუთზე მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ გ. ხურცილავა პირისპირ რჩება მეკარესთან. მისი დარტყმა მიზანს აღწევს - 1:0. რამდენიმე წუთიც და... ჯამარაულ-კერძევაძის ლამაზად გათამაშებულ კომბინაციის შემდეგ ეს უკანასკნელი პირისპირ რჩება მეკარესთან. გოლი თითქოს გარდაუვალი იყო მაგრამ მცველებმა იგი აკრძალული ილეთით შეაჩერეს. 11-მეტრიანს თვით დაზარალებული ურტყამს, მაგრამ ბრაუნისმა ამჯერადაც გამოიცნო ბურთის მიმართულება და ლამაზი ნახტომით იხსნა კარი.

ამის შემდეგ სტუმრებს იმედი მიეცათ, მატჩის გადარჩენაზე უფრო გაბედულად იწყეს ფიქრი. ერთ-ერთ ეპიზოდში თბილისელთ კარი ძელმაც იხსნა. შეხვედრის ბოლო წუთები თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ ორივე გუნდის თავდამსხმელებს, მაგრამ დარჩენილ დროში ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა.

თბილისის საქარხნო რაიონის მიერ დაწესებული პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის მეკარეებს ბრაუნისს და ხაპოვს გადაეცათ.

ზაზა კახაძე
“ლელო” 9.05.1989